ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები, რაც ითვალისწინებს დაინტერესებულმხარეთა ჩართულობასაც. შემუშავებულია კითხვარები: პროფესიული სტუდენტებისათვის - მოდულის სწავლების შეფასება; პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება; პროფესიული განათლების მასწავლებლის თვითშეფასება; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მოდულის შეფასება; კურსდამთავრებულების გამოკითხვა; პროგრამის დანერგვის კითხვარი დამსაქმებლებისათვის. კითხვარების შევსების შემდეგ ხდება პასუხების ანალიზი, მიღებული შედეგების შესაბამისად იწერება შემდგომი რეკომენდაციები.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე ციკლს. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის შედეგები სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმებით;
- გამოკითხვების შედეგებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

(ქალაქი, წელი)

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ.ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32	10226
2	ქ. ბათუმი, გრიშაშვილის 5	1999

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მითითებული აქვს ორი მისამართი. კერძოდ 4 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება ნინოშვილის/რუსთაველისქ.35/32-ში, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ უნდა განხორციელდეს მისამართზე გრიშაშვილის ქ.#5.

<u>**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“**</u> დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილ ორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აუდიტორიაში (409 და 416), სადაც A და B გარემო ერთ სივრცეშია განთავსებული. ვიზუალურმა დათვალიერებამ აჩვენა, რომ 409 აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 19 კომპიუტერი, ხოლო A გარემოს სამუშაო ადგილები ბევრად ნაკლებია (15). მეორე აუდიტორიაში (416) კი A გარემოს სამუშაო ადგილები საკმარისია, მაგრამ კომპიუტერების რაოდენობაა 15. ორივე აუდიტორიაში არის მასწავლებლის კომპიუტერი და პროექტორი, ასევე პრინტერი. რაც შეეხება მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალს, ის აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნულ სივრცეში შესაძლებელია 15 პროფესიული სტუდენტის სწავლა, როგორც A , ასევე B გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით. ხოლო ზღვრიული ოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს 30 სტუდენტი ორ მიღებაზე ან ორ ცვლაში, **ვინაიდან აღნიშნული აუდიტორია მოემსახურება მხოლოდ ამ პროგრამას და სხვა პროფესიული პროგრამის ან უმაღლესი აკადემიური პროგრამის მიზნებისთვის აღნიშნული სივრცის გამოყენება არ მოხდება.**

რაც შეეხება მეორე პროგრამას „ბუღალტრული აღრიცხვა“, აქაც იგივე სასწავლო აუდიტორიებია მითითებული - <u>პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“</u> დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილ ორ აუდიტორიაში (409 და 416), სადაც A და B გარემო ერთ სივრცეშია განთავსებული. ვინაიდან ვიზუალურმა დათვალიერებამ აჩვენა, რომ 409 აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 19 კომპიუტერი, ხოლო A გარემოს სამუშაო ადგილები ბევრად ნაკლებია (15). მეორე აუდიტორიაში (416) კი A გარემოს სამუშაო ადგილები საკმარისია, მაგრამ კომპიუტერების რაოდენობაა 15. ორივე აუდიტორიაში არის მასწავლებლის კომპიუტერი და პროექტორი, ასევე პრინტერი. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით ამ პროგრამაზეც, აღნიშნულ სივრცეში შესაძლებელია 15 პროფესიული სტუდენტის სწავლა, როგორც A, ასევე B გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო ზღვრიული ოდენობა შესაძლებელია **განისაზღვროს 30 სტუდენტი ორ მიღებაზე ან ორ ცვლაში, ვინაიდან აღნიშნული აუდიტორია მოემსახურება მხოლოდ ამ პროგრამას და სხვა პროფესიული პროგრამის ან უმაღლესი აკადემიური პროგრამის მიზნებისთვის აღნიშნული სივრცის გამოყენება არ მოხდება.**

რაც შეეხება მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალს, ის აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია: A და B სასწავლო (ერთ სივრცეში - აუდიტორია N 230) გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით (20 ადგილი).

ვიზუალურმა დათვალიერებამ აჩვენა, რომ A და B სასწავლო (ერთ სივრცეში -აუდიტორია N 230) გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა არის 19 ადგილი. რაც შეეხება მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალს, ის ვერ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. კერძოდ, აღჭურვილობის დათვალიერების დროს აღნიშნულ აუდიტორიაში არ იყო პრინტერი (კომბაინი) და კარადა (თაროებიანი, ჩამკეტით).

ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით ამ პროგრამაზე, აღნიშნულ სივრცეში შესაძლებელია 19 პროფესიული სტუდენტის სწავლა, როგორც A, ასევე B გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო ზღვრიული ოდენობა შესაძლებელია **განისაზღვროს 38 სტუდენტი ორ მიღებაზე ან ორ ცვლაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოხდება მატერიალური აღჭირვილობის სრულად შევსება.**

<u>პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“</u> მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია: A და B სასწავლო (ერთ სივრცეში - აუდიტორია N 432) გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით (20 ადგილი). ვიზუალურმა დათვალიერებამ აჩვენა, რომ A და B სასწავლო (ერთ სივრცეში -აუდიტორია N 232, ნაცვლად 432-ისა) გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა არის 19 ადგილი. რაც შეეხება მატერიალური აღჭურვილობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ჩამონათვალს, ის ვერ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. კერძოდ, აღჭურვილობის დათვალიერების დროს აღნიშნულ აუდიტორიაში არ იყო კომუტატორი (მინიმუმ Cisco catalyst 2960) არცეთი ცალი, მარშუტიზატორი (მინიმუმ cisco 1921) არცეთი ცალი.
ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით ამ პროგრამაზე, აღნიშნულ სივრცეში შესაძლებელია 19 პროფესიული სტუდენტის სწავლა, როგორც A, ასევე B გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო ზღვრიული ოდენობა შესაძლებელია **განისაზღვროს 38 სტუდენტი ორ მიღებაზე ან ორ ცვლაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოხდება მატერიალური აღჭირვილობის სრულად შევსება.**

<u>პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრების დროს განაცხადა, რომ დაგეგმილია აღნიშნული აღჭურვილობის შეძენა. წარმოდგენილი იქნა სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის სამსახურეობრივი ბარათი (MES 4 19 01275630 10/10/2019) , რომლის მიხედვით მოთხოვნილია მხოლოდ კომუტატორი (cisco catalist ws-c2960x-24ps-1) 6 ცალი. აღნიშნულ სამსახურებრივ ბარათში საერთოდ არ არის მოთხოვნა მარშუტიზატორის (მინიმუმ cisco 1921) შეძენის თაობაზე.</u>

<u>**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“**</u> დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილ ორ აუდიტორიაში (28 და 29), სადაც A და B გარემო ერთ სივრცეშია განთავსებული. ვიზუალურმა დათვალიერებამ აჩვენა, რომ 28 აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 15 კომპიუტერი, ხოლო A გარემოს სამუშაო ადგილებია 15. მეორე აუდიტორიაში (29) კი C გარემოს სამუშაო ადგილებია 10, ორივე აუდიტორიაში არის მასწავლებლის კომპიუტერი და პროექტორი, ასევე პრინტერი. რაც შეეხება მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალს, ის აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნულ სივრცეში შესაძლებელია 10 პროფესიული სტუდენტის სწავლა, როგორც A/B ასევე C გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით. ხოლო ზღვრიული ოდენობა შესაძლებელია **განისაზღვროს 20 სტუდენტი ორ მიღებაზე ან ორ ცვლაში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები აუდიტორიის გამტარუნარიანობის შესაბამისადაა შედგენილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს ყველა აღნიშნულ აუდიტორიაში მიმდინარეობდა სხვადასხვა პროფესიული პროგრამის სასწავლო პროცესი (შემოდგომის მიღება). ამიტომ ექსპერტთა შეკითხვაზე მოხდება თუ არა სასწავლო აუდიტორიების გათავისუფლება წარმოდგენილი პროგრამების ავტორიზაციის შემთხვევაში, მათზე მიღების გამოცხადების მომენტისთვის, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სავარაუდოდ იმ მომენტისთვის სხვა პროგრამებზე სწავლა დასრულებული იქნება, ან საწარმოო პრაქტიკის მოდულები იქნება განსახორციელებელი დარჩენილი, მაგრამ გადაფარვა თუ მაინც მოხდა, მხოლოდ მაშინ გამოაცხადებენ მიღებას, როცა ძველი პროგრამების სასწავლო პროცესი დასრულდება სრულად.

ხარვეზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ არის სრულად უზრუნველყოფილი იმ აღჭურვილობით, რომელიც მითითებულია საგანმანთლებლო პროგრამების შესაბამის დანართებში „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი“

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით
- მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტებით

შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „საფინანსო სერვისები“; „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „მეფუტკრეობა“

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ კორპუსში, რომელშიც ხორციელდება წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, მოპირკეთებული და გამიჯნული სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე, სასწავლო სივრცეებში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და დაწესებულების სასწავლო კორპუსების გათბობა ხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შენობის ვიზუალური დათვალიერებით
- კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითრებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბსუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკაში (ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N35/32, I კორპუსი) მოწყობილია სამკითხველო დარბაზები და წიგნსაცავები; ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, ინტერნეტის მუდმივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

მიწოდებით, გამოკრულია ბიბლიოთეკაში სარგებლობის წესი. დაწესებულებას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ბიბლიოთეკარები. წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში, დადგენილი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (koha), სადაც ასახულია სახელმძღვანელოების ნაწილი, რომელიც საჭიროა წარმოდგენილი პროგრამებისთვის. სახელმძღვანელოების ნაწილი ასევე, განთავსებულია ბსუ-ს შიდა საბიბლიოთეკო ქსელში.

ექსპერტთა ვიზიტის დროს, გადამოწმდა მოდულებში არსებული ლიტერატურა. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გამოიკვეთა შემდეგი :
ორივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო რესურსად მოდულში მითითებულია „ cisco-ს სასწავლო კრესი IT Essentials 6.0 https://www.netacad.com„. აღნიშნული რესურსთან წვდომა დაწესებულებამ ვერ დაგვიდასტურა ვიზიტის პერიოდში.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სასწავლო რესურსად პროფესიულ დარგობრივ მოდულებში მითითებულია „cisco-ს სასწავლო კრესი IT Essentials 6.0 https://www.netacad.com „. ვერც აღნიშნული რესურსთან წვდომა ვერ დაგვიდასტურა დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში.

იყო გარკვეული პრობლემა ზოგიერთი სახელმძღვანელოს მოძებნასთან დაკავშირებით. ამის მიზეზი არის ისიც, რომ ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში არ არის აღწერილი ყველა რესურსი, რომელიც უნივერსიტეტს აქვს, მათ შორის ის სახელმძღვანელოები, რომლებიც ელექტრუნულად არის განთავსებული უნივერსიტეტის შიდა ქსელში. სტუდენტისთვის რთულია, განსაზღვროს რომელ კატალოგში ეძებოს საჭირო ლიტერატურა. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ შესაძლებელია პროფესიული პროგრამებისათვის საჭირო ლიტერატურა განთავსდეს ცალკე თაროზე და პროფესიული სტუდენტებისთვის არ შეიქმნას პრობლემა სახელმძღვანელოების მოძებნასთან დაკავშირებით.

ბსუ-ს სასწავლო კორპუსში (ბათუმი, გრიშაშვილის #5ა), სადაც უნდა განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ არის ბიბლიოთეკა, სამკითხველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ოთახით, აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკაში სარგებლობის წესები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ „მეფუტკრეობის“ პროგრამის სასწავლო ლიტერატურის გადამოწმებისას, ყველა საჭირო ლიტერატურა აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში, სათანადო წესით დამუშავებული.

ხარვეზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ არის უზრუნველყოფილი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულება; https://bsu.ge/text_files/ge_file_269_1.pdf
- ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; https://bsu.ge/sub-15/page/3-235/index.html
- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგებით; http://library.bsu.edu.ge
- ბსუ-ს ვებ-გვერდი; https://bsu.ge/sub-15/news/index.html
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკარებთან გასაუბრებით.

შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „საფინანსო სერვისები“; „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „მეფუტკრეობა“

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში. დაწესებულებას გაფორმებული აქვს დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები შპს „მაგთიკომ"-თან და ა(ა) იპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა"-სთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 13 ნომებტერი 2019 წელს დადებული დომენის რეგისტრაციის ხელშეკრულება ა(ა) იპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა" . მოქმედების ვადა 2019/06/12 დან 2020/06/12 ის ჩათვლით.
- ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულება დადებულია შპს „მაგთიკომ"-თან (სატენდერო განაცხადი N NAT180019316) 25/12/2018 ში. ხელშეკურლების მოქმედების ვადა 2020/10/02 -მდე.
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქცია. ინსტრუქცია განსაზღვრავს უნივერსიტეტში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

წერილებზე მუშაობის, სამართლებრივი აქტების, სამსახურებრივი ბარათების, ცნობების, ოქმების მომზადების წესს და საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ინსტრუქცია ასევე ადგენს: უნივერსიტეტის პერსონალის პირად საქმეთა წარმოების, სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეების წარმოების წესებს.

ბსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომეკლატურა განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დოკუმენტების ნომენკლატურას და შენახვის ვადებს.

ბსუ საქმისწარმოებას ახორციელებს ელექტრონული საქმისწარმოების eFlow.emis.ge-ს მეშვეობით.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს ბსუ-ს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქცია; სსიპ ბსუ-ს ბრძანება #01-08/6, 16.02.2016 წ.
- ბსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ; სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანება #01-02/01, 09.01.2019.

  https://bsu.ge/text_files/ge_file_11938_1.pdf
- ინტერვიუ კანცელარიის და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის თანამშრომლებთან.
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის IV თავი განსაზღვრავს უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღ პირობების უზრუნველყოფის მექანიზმებს.

უნივერსიტეტს აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია და დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა. ინსტრუქცია ვრცელდება ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე.

უნივერსიტეტს ასევე, აქვს ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია. ინსტრუქციის შესაბამისად, უნივერიტეტს აქვს სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც განთავსებულია ბსუ-ს იურიდიულ მისამართზე (ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის #35/32), მე-2 კორპუსში. კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მედიკამენტებით. სამედიცინო კაბინეტს ემსახურება შესაბამისი განათლების (ექიმ-თერაპევტი) მქონე პირი.

ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს და ა.შ. ბსუ-სა და აჭარის დაცვის პოლიციასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, დაცვის პოლიცია უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მატერიალური ფასეულობების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების ორივე სასწავლო კორპუსი, რომლებშიც უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები, აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრები დამუხტულია. ცეცხლმაქრის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2021 წლამდე, ორივე სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ევაკუაციის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ ექიმს და გადაამოწმეს მედიკამენტების ვადები, ყველა მათგანი ვარგისია გამოყენებისთვის. ექიმის მიერ ხორციელდება შემოსული პატიენტების აღრიცხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი. დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით (ცვლილებები: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N01, 2018 წლის 23 აპრილის N06, 2019 წლის 09 ივლისის N07-01/20 გადაწყვეტილებებით); https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_884_1.pdf?fbclid=IwAR0vRiEOOPiDvop66nPoOfLZJkCkEM4MM_VRyoBZt6vffkKbpGwlHXtegjs
- ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანება #01-11/89, 06.11.2017 წ. https://bsu.ge/text_files/ge_file_9078_1.pdf
- ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს ბრძანება #01-11/79, 02.12.2016 წ.;
- ბსუ-სა და აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულება. (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #7, 31 დეკემბერი, 2018 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

- ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება #07-01/50, 22.11.2019 წ.
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები გაწერილია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. აღნიშნული წესის თანახმად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით, ასევე სსსმ სტუდენტისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ორივე სასწავლო კურპუსში (ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 და გრიშაშვილის ქ. #5ა). მეორე კორპუსში, სადაც უნდა განხორციელდეს 4 პროფესიული პროგრამა, სრულად ადაპტირებულია სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ბათუმი, გრიშაშვილის #5ა მისამართზე არსებულ კორპუსში, სადაც უნდა განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელია პანდუსით, პირველ სართულზეა განლაგებული პროგრამის სასწავლო გარემო, სველი წერტილი, ხოლო კორპუსში, რომელშიც ამჟამად (დროებით) არის პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაცია, არ არის ადაპტირებული სსსმ პირებისათვის, მაგრამ სტუდენტებს არ აქვთ პრობლემა, ვინაიდან მათთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ცენტრიც ემსახურება ასეთ სტუდენტებს პრობლემების გარეშე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანება #01-02/11, 08.02.2019.
- ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებელი) შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანება #01-10/32, 05.03.2019. https://bsu.ge/text_files/ge_file_11932_1.pdf
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი ორენოვანია. ვებ გვერდის განყოფილებებია: სიახლეები, ჩვენს შესახებ, სწავლა, ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევები, საერთაშორისო ურთიერთობები სტუდენტური ცხოვრება. ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ განთავსებულია განყოფილებაში სწავლა - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სახით. ცენტრის გვერდზე განთავსებულია ინფორმაციები სიახლეების, განცხადებების, მართვის ორგანოების, საგამნმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისი მარეგულირებელი წესის, გამოკითხვები-კვლევების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების, სასწავლო ცხრილების, საწარმოო პრაქტიკის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების, მარეგულირებელი დოკუმენტების და საკონტაქტო ინფორმაციების შესახებ, ასევე განთავსებულია ფოტოგალერეა. ვებ გვერდის დათვალიერებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ყველა სახის ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდი https://bsu.edu.ge/

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

დაწესებულებას შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024 წლები) და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლები). ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს: უნივერსიტეტის მისიას, ძირითად პრობლემებს, მიზნებს, მიზნის მისაღწევად დასახულ გზებს და ამოცანებს, სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელების ფაქტორებს და რესურსებს.

<u>პროფესიული განათლების მიმართულებით</u> ბსუ-ს ასევე შემუშავებული აქვს ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი 2019-20124წ. (ექვსწლიანი) და ერთწლიანი (2019წ.) სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის წესი. ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი 2019-20124წ. (ექვსწლიანი) და ერთწლიანი (2019წ.) სამოქმედო გეგმები გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა მოიცავს მოდულური პროფესიული პროგრამების ჩამონათვალს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ძლიერი და სუსტი მხარეებს, პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიულ მიზანებს, შესაბამის ამოცანებს, შესრულების წლებს, შესრულების ინდიკატორს/ მოსალოდნელ შედეგებს და პასუხისმგებელ პირებს. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრული აქვს ექვსი სტრატეგიული მიზანი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების მეთოდების და ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმების შექმნა;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა;
3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ხელშეწყობა;
4. ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების განვითარება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

5. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობითი არეალის გაფართოება;
6. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიზნებისა და საქმიანობის დისემინაცია;

უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი გეგმა მოიცავს დასახულ ამოცანას, შესაბამის აქტივობას, განხორციელების ვადებს, განმახორციელებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებს და მოსალოდნელ შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N40 დადგენილებით (შევიდა ცვლილება ბსუ-ს 2018 წლის 14 თებერვლის N14 დადგენილებით), https://bsu.ge/text_files/ge_file_60_1.pdf
- ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლები), https://bsu.ge/text_files/ge_file_8564_1.pdf
- პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #06-01/15, 14.02.2019 წ. https://bsu.ge/text_files/ge_file_11174_1.pdf

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, აკადემიური თანამდებობების მქონე და პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობას.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ დებულების (დამტკიცებულია სსიპ-ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება#2, 05.10.2018წ.) ცენტრის პერსონალის (უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების) სამუშაოთა აღწერილობა განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ცენტრის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. თითოეული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა პროგრამების მიხედვით:

საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

(ქალაქი, წელი)

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული მასწავლებელი

მოთხოვილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 40-ს, პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 40/18.

<u>ექსპერტთა მოსაზრებით</u>

პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის, საგანმანათლებლო სივრცეების, მათი მატერიალური აღჭურვილობის გათვალისწინებით **საფინანსო სერვისების** პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 15 სამუშაო ადგილს. **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 30-ით ორ მიღებაზე.**

საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული მასწავლებელი

მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა-40-ს, პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 40/18.

<u>ექსპერტთა მოსაზრებით</u>

პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის, საგანმანათლებლო სივრცეების, მათი მატერიალური აღჭურვილობის გათვალისწინებით, **ბუღალტრული აღრიცხვის** პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 15 სამუშაო ადგილს. **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 30-ით ორ მიღებაზე.**

საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 26 პროფესიული მასწავლებელი

მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა-40-ს, პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 40/26.

<u>ექსპერტთა მოსაზრებით</u>

პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის, საგანმანათლებლო სივრცეების, მათი მატერიალური აღჭურვილობის გათვალისწინებით, **ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროგრამაზე**პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 19 სამუშაო ადგილს. **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 38-ით ორ მიღებაზე.**

საგანმანთლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 26 პროფესიული მასწავლებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა-40-ს, პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 40/26.

<u>ექსპერტთა მოსაზრებით</u>

პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის, საგანმანათლებლო სივრცეების, მათი მატერიალური აღჭურვილობის გათვალისწინებით, **კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამაზე** პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 19 სამუშაო ადგილს. **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 38-ით ორ მიღებაზე.**

საგანმანთლებლო პროგრამა „მეფუტკრე“

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული მასწავლებელი

მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა-30-ს, პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 30/18.

<u>ექსპერტთა მოსაზრებით</u>

პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის, საგანმანათლებლო სივრცეების, მათი მატერიალური აღჭურვილობის გათვალისწინებით, **მეფუტკრეობის** პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 10 სამუშაო ადგილს. **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 20-ით ორ მიღებაზე.**

<u>ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საგანმნათლებლო პროგრამების განმახორციელებლად მოაზრებული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაწესებულების მიერ პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, და ასევე ნაწილ პერსონალს უკვე აქვს მოდულური მიდგომით პროგრამების განხოციელების გამოცდილება, მაინც სასურველია განმახორციელებელი პერსონალისთვის ჩატარდეს გადამზადება/ტრენინგი მოდულური პროგრამების სწავლების მეთოდების, შეფასების მიმართულებების, ინსტრუმენტების შექმნის და შეფასების განხორციელების საკითხებზე.</u>

რეკომენდაცია

სასურველია განმახორციელებელი პერსონალისთვის ჩატარდეს გადამზადება/ტრენინგი მოდულური პროგრამების სწავლების მეთოდების, შეფასების მიმართულებების, ინსტრუმენტების შექმნის და შეფასების განხორციელების საკითხებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის დროს გადამოწმდა ხუთივე პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, ასევე განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური (არსებობის შემთხვევაში) და პროფესიული დატვირთვები. გადამოწმებამ აჩვენა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები ფორმდება ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N01-02/16 ბრძანების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ა) ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საფინანსო სერვისები (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	51 კრედიტი	66 კრედიტი	ქართული	ქ.ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32		30
2	ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99 კრედიტი	129 კრედიტი	ქართული	ქ.ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32		30
3	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერაში 0612	63 კრედიტი	78 კრედიტი	ქართული	ქ.ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32		38
4	კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში 0612	95 კრედიტი	125 კრედიტი;	ქართული	ქ.ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32		38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

5	მეფუტკრეობა (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში 0811	60 კრედიტი	75 კრედიტი	ქ ა რთუ ლი	ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა 5ა		20

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად.

16.01.2020წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---